დღეს იწყება ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში

ლენინური სწავლების წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანი

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1 ოქტომბერი ოთხშაბათი 1969 წელი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 228 (14528)

3. ი. ლენინის დაბადების მეასე წლისთავისათვის მზადების დროს პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა ყველა კომუნისტის მარქსისტულ-ლენინური განათლებისათვის, კომუნისტთა და უპარტიოთა ფართო მასების მიერ რევოლუციური თეორიის ღრმად შესწავლისათვის.



სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან — „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ".

დავეუფლოთ ლენინიზმს

ოქტომბრის მიხედვით დღეს იწყება ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში. ამრიგად, სიტყვა ეძლევათ ჩვენი პარტიის იდეური სიმდიდრის პროპაგანდისტებს. პარტიული განათლების აუდიტორიებში მათი მსმენელები არიან კომუნისტები, უპარტიო აქტივი, კომკავშირელები, ისინი, ვინც კვლავ და კვლავ ეუფლება რევოლუციურ თეორიას.

შემდინარე სასწავლო წელსაც სამართლიანად ეწოდება ლენინური: იგი იწყება და ჩაივლის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის საყოველთაო-სახალხო მზადების პერიოდში. ეს ბევრ რამეს ავალებს პროპაგანდისტებს, პარტიულ ორგანიზაციებს, პოლიტიკური განათლების ქსელში ჩაბმულ მსმენელებს.

ახალ სასწავლო წელს პოლიტიკურ სკოლებში, სემინარებში, აგრეთვე სწავლების სხვა ინდივიდუალურ და ჯგუფურ ფორმებში სწავლას შეუდგება 270 ათასამდე კომუნისტი და უპარტიო, თეორიული სიმდიდრის პროპაგანდას გასწევს დაახლოებით 20 ათასი პროპაგანდისტი, ლექტორი და კონსულტანტი.

საყოველთაოდ ცნობილია მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური მოძღვრების ულრმესი მეცნიერული შინაარსი, რაც მოითხოვს მისი პროპაგანდის მეცნიერულ ორგანიზაციას. ამას კარგად ითვალისწინებდნენ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, როცა გულმოდგინედ ემზადებოდნენ ახალი სასწავლო წლისათვის, როცა აკომპლექტებდნენ პარტიული განათლების ქსელს, როცა არჩევდნენ და ამზადებდნენ პროპაგანდისტთა კადრებს.

ყოველივე ამისათვის განსაკუთრებით ხელშემწყობი პირობები შექმნა პარტიული განათლების მოქმედმა სისტემამ. იგი ფრიად მაღალ მოთხოვნებს უყენებს მსმენელებს და განსაკუთრებით პროპაგანდისტებს, რომლებიც სისტემატურად სრულყოფენ თავიანთ თეორიულ მომზადებას და მეთოდურ ოსტატობას. უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა პოლიტიკური განათლების ქსელში მეცადინეობის მაღალ იდეურ დონეზე და ორგანიზებულად მოწყობისათვის, ადამიანების იდეური წრთობისთვის, სამეცნიერო და სისტემატური დახმარება ეწევათ პროპაგანდისტებს. ამ მხრივ ნაყოფიერი იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის მიერ მოწყობილი რესპუბლიკური მოკლევადიანი ზონალური კურსები, რაც 1.600-მდე პროპაგანდისტმა გაიარა.

ადგილებზე შექმნილი მუდმივმოქმედი სემინარების მუშაობა ხელს უწყობს პროპაგანდისტთა კადრების თეორიულ და მეთოდურ მომზადებას, მათი პოლიტიკური აზროვნების დახვეწას. სწორედ ეს აძლევს საშუალებას პროპაგანდისტებს მსმენელთა თეორიულ ცოდნაში შეიტანონ იდეური სიზუსტე, შეტევითი სულისკვეთება და ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობა.

მიმდინარე სასწავლო წლის ძირითადი თავისებურება კვლავ ის არის, რომ ლენინის თეორიული მემკვიდრეობის შესწავლა დაუკავშიროთ კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის პრაქტიკას. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის მასალების შესწავლას. ამასთან პარტიული განათლების სისტემაში კვლავ წამყვან ადგილს იჭერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები და პარტიის სხვა დოკუმენტები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის.

ახალი სასწავლო წლისათვის მნიშვნელოვნად გაფართოვდა დაწყებითი პოლიტიკური, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, პარტიული სკოლების, მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებისა და თეორიული სემინარების პროგრამები. ეს ნავარაუდევია იმისათვის, რომ მსმენელებმა შეძლონ ღრმად შეისწავლონ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის, „შემარცხენე" და მემარჯვენე ოპორტუნიზმთან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლის აქტუალური საკითხები. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლენინის იუბილესათვის ვემზადებით არა მარტო ჩვენ, ხაზღვარგარეთელი მეგობრები და პროგრესული ადამიანები, ამისათვის თავისებურად ემზადებიან ჩვენი იდეური მოწინააღმდეგენიც — მშვიდობის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მტრები. ისინი არ ერიდებიან ბრიკებსა და ცილისწამებას, რათა შებღალონ, დაამცირონ ლენინიზმის დიადი მნიშვნელობა, სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების როლი და ავტორიტეტი, ამიტომ ახალ სასწავლო წელს პარტიულმა ორგანიზაციებმა, პროპაგანდისტებმა კვლავაც უნდა ამხილონ ბურჟუაზიული პროპაგანდის ანტახალხური არსი.

ეს მაღალი მოწოდება რომ შეასრულოს, პროპაგანდისტი თავის საგანს უნდა ასწავლიდეს თანამედროვე მეცნიერულ დონეზე, თავისუფლად ერკვეოდეს წყაროებსა და სხვა ლიტერატურაში, მსმენელებს პარტიული პოზიციებიდან განუმარტავდეს საზოგადოებრივ მოვლენებს, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირეულ საკითხებს, რა თქმა უნდა, პარტიულ განათლებაში პროპაგანდისტი მთავარი, ცენტრალური ფიგურაა, მაგრამ პროპაგანდისტულ კადრებს ყოველდღიური დახმარება უნდა გაუწიონ პარტიის რაიონულმა, საქალაქო და საოლქო კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

კომუნისტების პოლიტიკური განათლებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ძირითადი ამოცანა ის არის, რომ შეაერთოს ადამიანების აზრი და პრაქტიკული მეცადინეობა, მათი გონება და ძალები აამოძრაოს თეორიის დასაუფლებლად, კომუნიზმის მშენებლობაში ახალი მოღწეულების მოსაპოვებლად.

თეორია და პრაქტიკა განუყოფელია. ებრძოდა რა იმათ, ვინც წყვეტდა თეორიას პრაქტიკისაგან, ვ. ი. ლენინი წერდა: „...საჭირო შეგითვალისწინებდეს ცოცხალ ცხოვრებას, სინამდვილის ზუსტ შაქტებს... „თეორია, მეგობარო ჰეგელ, უფერულია, მაგრამ მწვანეა მარადიული ხე ცხოვრებისა".

დიახ, ვ. ი. ლენინმა დაგვიტოვა მასების პოლიტიკური განათლების ხელოვნების უბადლო ნიმუში, მაღალი იდეურობის, პარტიულობის, თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის ერთიანობის მაგალითი. ამ მაგალითებზე აღიზარდნენ, იზრდებიან და მომავალშიც აღიზრდებიან მილიონობით ადამიანები.

ლენინიზმის ღრმა ცოდნისათვის! — ამ დევიზით იწყება ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თეორიის შესწავლა მტკიცედ დავუკავშიროთ პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკულ საქმიანობას, ვიყოთ ადამიანების პოლიტიკური აღმზრდელნი, თავდადებული შრომისათვის მათი დარაზმვის ორგანიზატორები.

საქართველოს კპ და თბილისის კომიტეტების პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურმა სახლმა 25-26 სექტემბერს მოაწყო პროპაგანდისტების თათბირ-სემინარი, რომელიც მიეძღვნა პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას.

• • •

სურათზე: სემინარის მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): ბ. შიმშილაშვილი (ონი), დ. ანთაძე (შუახევი), მ. შალაქბერიძე (ქუთაისი), დ. ბოგუაძე (ლანჩხუთი), პ. კუხალეიშვილი (ფოთი), ვ. აპირთაკა (გალი), ო. ჩიბირაშვილი (ლენინგორი), ჯ. ბერუჩევი (ონი), თ. აბაშიძე (ბორჯომი), ნ. სიხარძე (საჩხერე), ბ. პაპაკა (ჩხოროწყუ) და უ. მოსულიშვილი (სიღნაღი).

ფოტო ბ. ბოგოლუბიანის.

ასე მოემზადნენ

ფოთი. (საკ. კორ.). მასების იდეურ-თეორიული აღზრდა ყურადღების ცენტრში! — ასეთი დევიზით ემზადებოდა ქ. ფოთის პარტიული ორგანიზაცია პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის. განხორციელდა ორგანიზაციული ღონისძიებანი: შეიქმნა მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი 32 ჯგუფი, 5 ლექტორიუმი, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების 81 სკოლა, 31 თეორიული და პრობლემური სემინარი. გარდა ამისა, დაკომპლექტდა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთათვის 33 საკონსულტაციო ჯგუფი, 10 ლენინური სახალხო სკოლა. ყველა მათგანში ჩაება 4.325 მსმენელი, მათ შორის 2.915 კომუნისტი.

პარტიული განათლების სისტემაში წელს იმუშავებს 296 პროპაგანდისტი. მათგან 86 პროპაგანდისტი ხელმძღვანელი მუშაკია. მრავალ პარტორგანიზაციათა შორის ახალ სასწავლო წელს ორგანიზებულად იწყებენ იქ, სადაც პარტიული კომიტეტებისა და პარტორგანიზაციების მდივნებად მუშაობენ ა. ინწკირველი, თ. ქოლავა, მ. ჯაბუა, გ. ეორდანია, ბ. ლადალაძე, გ. ბოკუჩავა.

პროპაგანდისტთა გადასამზადებელი კურსები გაიარა 130 კაცმა. მთელი ქსელი უზრუნველყოფილია სამეცადინო ოთახებით, თვალსაჩინოებითა და სახელმძღვანელოებით.

სილნაღი. (საკ. კორ.). პარტიული განათლების ქსელი დაკომპლექტდა კომუნისტებითა და უპარტიოთა აქტივით, გამოცდილი პროპაგანდისტებით. პირველ მეცადინეობებს ყველგან ორგანიზებულად ხვდებიან. მათ შორის ბოდბისხევისა და ულიანოვკის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებში ბევრი რამ გაკეთდა მეცადინეობის ორგანიზებულად დაწყებისათვის.

ბოდბისხევის პარტორგანიზაციასთან შექმნილ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ორი სკოლის პროპაგანდისტებად გამოყოფილი არიან ქ. შეთხნაშვილი და ი. ნაცვლიშვილი. ლენინის ბიოგრაფიის შემსწავლელ სკოლას უხელმძღვანელებს ბ. შიხაშვილი, პარტიული განათლების ქსელში სულ ჩაება 80-მდე კომუნისტი, კომკავშირელი და უპარტიო აქტივისტი.

ულიანოვკის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციასთან შეიქმნა ლენინის შრომების შემსწავლელი სკოლა 17 მსმენელით. პროპაგანდისტია ვ. კვირიკაშვილი. კომკავშირელებისათვის იმუშავებს ლენინის ბიოგრაფიის შემსწავლელი სკოლა, სადაც 25 მსმენელი ჩაება.

საბარეული. (საკ. კორ.). ტრადიციის მიხედვით რაიონში შეიქმნა პოლიტსკოლები, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლები და თეორიული სემინარები, პარტიული განათლების ქსელში სურვილის მიხედვით ჩაებნენ კომუნისტები, უპარტიოები, კომკავშირელები. შერჩეულია პროპაგანდისტთა კადრები, რომელთა მოსამზადებლად განხორციელდა ღონისძიებანი.

ახალი სასწავლო წლისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერად მოემზადნენ მანავის საბჭოთა მეურნეობის, პატარძეულის, ნინოწმინდის, ყანდაურის, პატარა ჩაიურის კოლმეურნეობების, ავტოსაბურავების შემკეთებელი ქარხნის, მატყლის გადამმუშავებელი ფაბრიკის, სოფლის მეურნეობის სამმართველოს პარტიული ორგანიზაციები.

პოლიტიკური განათლების კაბინეტში მოეწყო საუბრები, კონსულტაციები; საინტერესოა რეკომენდებული ლიტერატურის, სანიმუშო თემებისა და გეგმების გამოფენა, რომლითაც ისარგებლებენ მსმენელები, პროპაგანდისტები, წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავენი.

ცაგერი. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომმა და პოლიტიკური განათლების კაბინეტმა მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელეს პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის. კომუნისტთა და უპარტიოთა სურვილის შესაბამისად დაკომპლექტდა ულენინის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებისა და ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიის შემსწავლელი სკოლები, აგრეთვე თეორიული სემინარები. შეირჩა და გადამზადდა პროპაგანდისტთა კადრები.

იმათ შორის, რომლებიც კარგად მოემზადნენ ახალი სასწავლო წლისათვის, არიან ორბელიანი, ალბანის, ზოგიშის, ოყურეშის, დაბა ცაგერის, ზუბის, ნაკურალეშის მბრეველები პარტიული ორგანიზაციები.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს სრულიად ჩინეთის სახალხო ნარმომადგენელთა კრების მუდმივ კომიტეტს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეების დასკვნითი კონცერტი

რუსეთის ფედერაციაში დიდი წარმატებით გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები.

ამ დათვალიერებაში მონაწილეობენ სახელგანთქმული მხატვრული კოლექტივები და შემსრულებლები, ხალხური თვითმოქმედების წარმომადგენლები, ცნობილი მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები.

ამ ნათელი დღესასწაულის შთამბეჭდავი აკორდი გაჩდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა დასკვნითი კონცერტი. 29 სექტემბერს მოძმე სოციალისტური ქვეყნის კულტურის წარმომადგენლებს მხურვალე ტაშით შეხვდა ექვსი ათასი მოსკოველი, რომლებიც კრემლის ყრილობათა სასახლეში შეიკრიბნენ.

კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაბანოვი, კ. თ. კატუშევი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი.

მათთან ერთად ლოჟაში იყვნენ დელეგაციის წევრები — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მოღვაწენი.

(საკადესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ინფორმაციის დღე

30 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მორიგი „ინფორმაციის დღე". ასეთი დღეები ყოველთვიურად ეწყობა და მათი მიზანია რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების სისტემატური ინფორმირება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებზე.

ინფორმაცია „კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის მუშაობის მდგომარეობის შესახებ" გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. პ. ა. როდიონოვმა.

რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ 1969 წლის ზაფხულში სტუდენტთა სამშენებლო რაზმების მუშაობის შედეგებს მიუძღვნა თავისი ინფორმაცია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. რ. ვ. მეტრეველმა. (საქდესი).

ლენინურ ეპოქის ვარსკვლავ 100

პირველად ჩვენს ქვეყანაში

მარელისი. (საკ. კორ.). ავეჯის დასამზადებლად ნარჩენების გამოყენების იდეა მოსვენებას არ აძლევდა მარელისელ მეავეჯეებს. ნახერხისაგან სკამის რკალის დასამზადებლად ნახევრადავტომატური ხაზის შშენებლობის პროექტი თავიდანვე კრასნოდარელმა კონსტრუქტორებმა შექმნეს. ნახერხის გამოყენებაზე საცდელი სამუშაოები მიაკოთის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის კოლექტივმა დაიწყო. ამ პრობლემის გადასაწყვეტად მუშაობდნენ ჩვენი სამშობლოს სხვა ფაბრიკებიც, მაგრამ პირველი სიტყვა მარელისელმა მეავეჯეებმა თქვეს. მათი სახელისა და ღირსების საქმეა, რომ ფრიად საუურადღებო ტექნიკური ხიახლე საბჭოთა კავშირში პირველად მარელისელმა მეავეჯეებმა აითვისეს.

ახალ ნახევრადავტომატურ ხაზს 23 კვანძი აქვს. იგი 48 ოპერაციას ასრულებს. ამ ტექნიკური ხიახლის, ახალი ხოსტატოს შშენებლობისათვის იღვწოდა ფაბრიკის მთელი კოლექტივი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მემონტაჟეების პ. სახვაძის, რ. ცხოვრებაძის, ი. ვოლოხოვის, რაციონალიზატორ პ. კიკნაძის, ფაბრიკის მთავარი ტექნოლოგის თ. გორშკოვის დაუღალავი შრომა. მათ მრავალი უძილო ღამე გაუთენებიათ.

მწყობრში ჩადგა ახალი ხოსტატო. იგი ყოველწლიურად დაზოგავს სულ მცირე 800 კუბურმეტრ მაღალხარისხოვან ხის მასალას, ფაბრიკას მისცემს 100 ათას მანეთ ეკონომიას.

ტეირთზიდვა იზრდება

წალენჯიხა. (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებს აღწევს ენგურჰესის მშენებლობის მესამე ავტოსატრანსპორტო კანტორა (უფროსი უ. ფრუიეე). კანტორის მუშაკებს 8 თვეში გეგმით უნდა გადაეზიდათ 4 მილიონ 388 ათასი ტონა სხვადასხვა ტვირთი, მათ შორის თაღოვანი კაშხალის ქვაბულთან ამოღებული ქანები. ავტოტრანსპორტელებმა გადაზიდეს 5 მილიონ 57 ათასი ტონა ტვირთი და გეგმა 115,2 პროცენტით შეასრულეს.

მძღოლმა მ. ხმელიძემ, რომელიც „ბელაზის" მარკის ავტომანქანაზე მუშაობს, აგვისტოში 580 რეისი გააკეთა, 40 ათასი კუბური მეტრი გამონამუშევარი ქანი გაზიდა და მისმა გამომუშავებამ 417 მანეთი შეადგინა. კარგად მუშაობენ და გეგმებს დიდი ენერგიით ასრულებენ მძღოლები ვ. თუთისანი, დ. სმილიანეცი, ს. ქარსელაძე, ლ. ლაგვილავა, გ. ჯინჭარაძე, ბ. მამაგეიშვილი და სხვები.

შრომითი ნოგათი

□ ფოთელ ფუაროს რაიონის მშრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად, სასოფლო-სამეურნეო კულტურები და მეცხოველეობის პროდუქტები უხვად აწარმოეს. 20 სექტემბრისათვის დაამთავრეს 9.260 ჰექტარზე მზესუმზირას მოსავლის აღება. ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 14 ცენტნერი მზესუმზირა ნაცვლად 11,5 ცენტნერისა. 25 სექტემბრისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 9.200 ტონა მზესუმზირა ნაცვლად 6.000 ტონისა და ვალდებულებით ნაკისრი 7.000 ტონისა.

სახელმწიფოს მიეყიდა 27.200 ტონა მარცვლეული ნაცვლად 12.000 ტონისა, 317 ტონა ბოლჩეული ნაცვლად 220 ტონისა, 921 ტონა თივა ნაცვლად 900 ტონისა, 2.000 ტონა ხორცი ნაცვლად 9 თვის გეგმით გათვალისწინებული 1.963 ტონისა. დამზადდა 40 ათასი ტონა უხეში საკვები ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 39 ათასი ტონისა, მათ შორის თივა — 11.300 ტონა ნაცვლად 10.000 ტონისა, სილოსი დამზადდა 32 ათასი ტონა, კარგად მიმდინარეობს რთველი.

ᲓᲐᲥᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲑ

ქობულეთი. (საკ. კორ.). ტუნგოს ზეთის განსაკუთრებული დანიშნულება აქვს მრეწველობაში. ეს კარგად აქვთ შეგნებული ქობულეთის ტუნგოს ქარხანაში (დირექტორი ო. ბიბილეიშვილი), ამიტომაც იქ ძალღონეს არ იშურებენ, რომ გეგმები ვადამდე გადაჭარბებით შეასრულონ. ქარხნის კოლექტივმა განვლილი 8 თვის გეგმა 164,8 პროცენტით შეასრულა. დაგეგმილი 721 ათასი მანეთის ნაცვლად წარმოებულია 1 მილიონ 88 ათასი მანეთის პროდუქცია.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲗᲘᲐᲜ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲖᲔ

მოსკოვი, 30 სექტემბერი. (საკადესის კორ.). დღეს ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის 100 წლისთავის დღესასწაულზე სოფიაში გაემგზავრა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს მ. ვ. კელდიშის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. ა. ბორისევიჩი, უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ს. სადიკოვი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. ი. მუსხელიშვილი, ლატვის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ი. ი. მატულისი და სხვები.

დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის იუბილეს გამო გამართულ ზეიმში,

ამხანაგ გ. ჰუსაკის მოხსენება

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

პრაღა, 29 სექტემბერი. (საკადესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტომ გადასცა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მოხსენება „თანამედროვე მდგომარეობისა და პარტიის შემდგომი ამოცანების შესახებ", რომელიც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა თავის დოკუმენტებში დასახა ეს ბუნები, კრიზისიდან გამოსავალი და შემდგომი მუშაობის მეთოდები.

ვაჯამებთ რა ჩვენი პარტიის ათაწლობით მუშაკისა და მისი ხელმძღვანელობის ინტენსიური საქმიანობის შედეგებს ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით, უნდა ვთქვათ, რომ პარტიამ ყველა დარგში მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს, წარმატებებსა და კონსოლიდაციის პირველი ფაზას. მთელ ჩვენს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ჩვენს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში დადგა გარკვეული სიმშვიდე და დაიწყო ცნობილი კრიზისული სიტუაციების დაძლევის პროცესი.

განმეტაც დადა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი რგოლები ცენტრში, ოლქებში, რაიონებსა და პარტიის ბევრ პირველად ორგანიზაციაში, იზრდება აქტიური მირთვი, რომელიც მზარს უჭერს ცენტრალური კომიტეტის მიერ განსაზღვრულ პრინციპულ პოლიტიკას, იზრდება ჩვენი პარტიის ბევრი აქტივისტისა და მუშაკის აქტივობა და თავდადებულობა სულ სხვადასხვა უბანზე. პარტიას — ყოველ შემთხვევაში მის ჯანსაღ ბირთვს — კვლავ ენიჭება ქმედუნარიანობა და ბრძოლისუნარიანობა. ამ განვითარებას არსებითად შეუწყვეს ხელი კადრების ცვლილებებმა. ჩვენი პარტიის სტრუქტურის ცალკეულ რგოლებში, დღეს შეიძლება ვთქვათ, რომ პარტიის ხელმძღვანელობას შეუძლია მთელი პასუხისმგებლობით დაეყრდნოს თავის წევრთა მნიშვნელოვან რიცხვს, რომლებიც პარტიული და საზოგადოებრივი ცხოვრების სულ სხვადასხვა უბანზე მუშაობენ.

განვლილია ოთხმა თვემ, აღნიშნა შემდეგ გ. ჰუსაკმა, კვიჩვენა, რომ მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის დინერეტივის შესაბამისად განხორციელებული მოქმედება იძლევა დადებითს შედეგებს, რომ მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი სწორი იყო და კვლავ კონკრეტულ პროგრამად, იმ რეალურ გზად რჩება, რომელსაც დავადგებით პრობლემების გადაჭრისათვის, ჩვენში კრიზისული სიტუაციის მთლიანად აღმოფხვრისათვის.

ჩვენი პარტიისა და ჩვენი ხალხის მუშაობის შედეგები შეიძლებოდა გაცილებით უკეთესი ყოფილიყო, რომ არ გვიხდებოდეს პარტიული ორგანოებისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ზედა ეშელონის ზოგიერთ ძალ-ონის დახარჯვა ჩვენში არსებული ანტისოციალისტური და მემარჯვენე ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

პირიქით, მთელ ამ თვეებს ახასიათებს მწვავე პოლიტიკური ბრძოლა ანტისოციალისტურ და მემარჯვენე ძალებთან, რომლებსაც ხსარს უჭერენ იმპერიალისტური - და ემიგრანტული ცენტრების გაფფრებული პროპაგანდა და მათთან დაკავშირებული ძალები ჩვენი ქვეყნის შიგნით.

შინაური რეაქციული ძალები და მათი საზღვარგარეთელი ბურჟუაზიული მოკავშირეები, დამცველები და მფარველები თვეების მანძილზე მთელ თავიანთ ძალღონეს ახმარდნენ იმას, რომ მიმდინარე წლის აგვისტოში, ჩვენს ტერიტორიაზე მოკავშირეთა ჯარების შემოსვლის წლისთავის გამო მოეწყოთ დიდი მასობრივი აქციები, რომლებსაც სახელი უნდა გაეტეხთ ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკისათვის, გამოეწვია ჩვენს სახელმწიფოში ქაოსი, დიდი კრიზისი და ახალი ტრაგიკული სიტუაციები. ანტისოციალისტური, მემარჯვენე ძალების პროვოკაციები, რომლებიც გადაიქცა აშკარა კონტრრევოლუციურ აქციებად, დამთავრდა მათი ორგანიზატორებისა და მონაწილეების მარცხით.

მიმდინარე წლის აგვისტომ ნათლად დაგვანახვა, რომ ჩვენს პარტიასა და ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოს შესწევს საკმაო ძალა, რათა აღმოფხვრას ყოველგვარი ძირგამომთხრელი აქცია ჩვენს ქვეყანაში და უზრუნველყოს მართლწესრიგი მთელ ტერიტორიაზე.

სავსებით ცხადია, რომ ჩვენი მშრომელი ხალხის ფართო ფენები, და უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასი და სოფლის მშრომელები არ გამოეხმაურნენ ძირგამომთხრელი ჯგუფებისა და ძალების მოწოდებებსა და ლოზუნგებს, რომ მათ შეინარჩუნეს სიმშვიდე, გონივრულობა და, ამრიგად, საკუთარი დაუპირეს მხარი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ღონისძიებებს ჩვენს სახელმწიფოში მშვიდი ცხოვრების უზრუნველყოფისა და მისი მიზანდასასრული განვითარებისათვის. საჭიროა მაღალი შეფასება მივცეთ მუშათა კლასის, როგორც საზოგადოების ნამყვანი კლასის, და კოოპერაციული გლეხობის გადამწყვეტი ბირთვის პოლიტიკურ და მორალურ შეგნებულობას, რომ ისინი გაეშიჯნენ ამ აქციებს, და შეიძლება ითქვას, რომ რაზდენიმე ადგილის გარდა, ჩვენი სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე, ყველა მოწოდების, აგიტაციისა და ორგანიზებული ცდების მიუხედავად, დამყარდა მშვიდობიანი და ნორმალური ცხოვრება. მუშათა კლასისა და ჩვენი მშრომელი ხალხის ნამდვილი სიმტკიცე გამოავლინა სლოვაკიის ეროვნული აჯანყების 25 წლისთავის დღესასწაულმაც ჩვენი სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე. სლოვაკიის ეროვნული აჯანყების 25 წლისთავთან დაკავშირებულმა ამ მასობრივმა ღონისძიებებმა — კონტრრევოლუციური ძალების აგვისტოს ცდების შემდეგვე, — მთელ მსოფლიოს უჩვენა ჩვენი მშრომელი ხალხის ნამდვილი სიმტკიცე და ეს ღირსეული და შეგნებული მზადება იყო საბჭოთა კავშირის მიერ მთელი ჩვენი სახელმწიფოს განთავისუფლების მომავალი 25 წლისთავისათვის.

მსოფლიოში და ჩვენში რევოლუციური ბრძოლის გამოცდილება, აღნიშნა ამხ. გ. ჰუსაკმა, ადასტურებს, რომ ამჯერ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ ანტისოციალისტური და მემარჯვენე ძალები სულ უფრო ხშირად მიმართავენ ბრძოლის არალეგალურ და ნახევრად ლეგალურ მეთოდებს, მოუწოდებენ პასიური წინააღმდეგობისათვის, საბოტაჟისათვის, ინდივიდუალური ტერორისათვის; ისინი ცდილობენ მოაწყონ ძირგამომთხრელი საქმიანობა, შეიარაღებულ პოზიციები კულტურის, განათლების სხვადასხვა უბანზე, სახელმწიფო და ეკონომიურ აპარატებში, პროფკავშირებში, ახალგაზრდათა მოძრაობაში და სხვ. ისინი გაიტრუნენ, სურთ „გამოიზამთრონ", ელიან ახალ შემთხვევას, ახალ ფეხდმებს. ეს უნდა ვიცოდეთ და უფრო თანამიმდევრულად ვაწარმოოთ პოლიტიკური ბრძოლა ამ ძალების წინააღმდეგ, ვამსილოთ მათი იდეური და ორგანიზაციული ცენტრები, გავაკამკვიროთ პოლიტიკურ ბრძოლაში მათი არაკუმენტები და დემაგოგია, ხოლო ის შემთხვევაში, როცა ირღვევა კანონები, პასუხისგებაში მივცეთ ისინი.

კვლავაც ჩვენი პარტიის ბრძოლის მთავარ ფრონტად რჩება ბრძოლა ანტისოციალისტური ძალების წინააღმდეგ ჩვენს საზოგადოებაში, მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ პარტიაში, რათა ამრიგად ხელი შეეშალოთ ამგვარი აქციებისა და უკიდურესობების გამეორებას, რათა თავიდან ავიცილოთ ქაოსისა და კრიზისული მოვლენების გამეორება და შევქმნათ პირობები დადებითი ამოცანების გადასაწყვეტად. ეს ყველა უბანზე მოითხოვს გადაწყვეტ პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და საკადრო ღონისძიებებს.

ამ ბოლო ოთხი-ხუთი თვის გამოცდილება გვაიძულებს დავუბრუნდეთ ჩვენს ამასწინანდელ და განვლილ განვითარებას და კვლავ განვუმარტოთ პარტიის წევრთა დიდ აბრიანსა და მილიონობით მშრომელს ჩვენი საზოგადოებისა და ჩვენი სახელმწიფოს განვითარების ძირითადი ეტაპები. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა დაადასა პრეზიდიუმს ანალიზი გაუკეთოს როგორც 1968 წლის იანვრამდე, ისე მის შემდეგ განვითარებას პარტიასა და საზოგადოებაში და ეს ანალიზი განსაზღვროდეს წარუდგინოს ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ პლენუმს. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ეექმნა კომისია თავისი წევრებისაგან, და დაიწყო მუშაობა ამ ანალიზის შედგენისათვის.

1968 წლის იანვრის შემდეგი პერიოდის შეფასების მიმართ ჩვენ ორი უკიდურესობის მოწმენი ვართ. ერთი მხრივ, ანტისოციალისტური ძალები და მემარჯვენე ოპორტუნისტები სახელს უტეხდნენ ჩვენი პარტიის და ჩვენი ხალხის მთელ, ოც წლიწა მეტი ხნის ბრძოლას სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის. განა ეს მეხედულება მილიონობით ჩვენი ადამიანისა და პარტიის ასეულ ათასობით პატიოსანი წევრის მრავალი წლის მეცადინეობისა და თავდადებული შრომის შესახებ შეეხებამება სიმართლეს?

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ მოვსპეთ ექსპლოატატორთა, ბანკირთა, ფაბრიკანტთა, მსხვილი მემამულეთა კლასი და სხვადასხვაგვარი პარაზიტული ფენები, ჩვენ ამ ბრძოლა ადამიანის ექსპლოატაციის ხარჯზე ცხოვრობდნენ. რამდენჯერმე გაიზარდა ჩვენი ქვეყნის სამრეწველო პოტენციალი. მტკიცედ ამაღლდა მშრომელთა ცხოვრების დონე, გაუჯობესდა სოციალური და სამედიცინო პირობები, მნიშვნელოვნად ამაღლდა კულტურული დონე. კოოპერაციულ საფუძველზე სოფლის მეურნეობის გარდაქმნის შედეგად აღმოიფხვრა სიღატაკე ჩვენს სოფლებში .

დღევანდელი ჩეხოსლოვაკია, როგორც განვითარებული სახელმწიფო, ყოველმხრივ დგას განვითარების შუადარბლად უფრო მაღალ დონეზე იმ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან შედარებით, რომლებიც არსებობდნენ 25 ან უფრო მეტი წლის წინათ. მხოლოდ სოციალისტური წყობილების მტრებს, მუშაობა კლასისა და მშრომელი ხალხის ახალი მდგომარეობის მტრებს შეუძლიათ არ დაინახონ, უგულებელყონ და უარყონ ეს შედეგები. ჩვენს მუშაობაში კვლავაც ვიხელმძღვანელებთ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ყველა პოზიტიური შედეგით, შევინარჩუნებთ მემკვიდრეობითობას ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მთელ მუშაობაში, ყველაფერში, რაც კარგი, ჯანსაღი, პოზიტიური იყო. ეს საქმის ერთი მხარეა. მეორე მხარე ის არის, რომ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისა და კლასობრივი ბრძოლის მსვლელობაში დაგვიგროვდა აგრეთვე მრავალი სერიოზული შეცდომა და ნაკლი, რომლებიც ზიანს აყენებდნენ პარტიის პოლიტიკას, ჩვენი საზოგადოების განვითარებას და რომელთა გამო იზარალა ბევრმა ჩვენმა მოქალაქემ, ორმოცდაათიან წლებში კანონების უხეშად დარღვევა, საქმეების ფაბრიკაცია და რეპრესიები ჩვენი პარტიის წევრთა და დანარჩენ მოქალაქეთა მიმართ, დაუსაბუთებელი ადმინისტრაციული ჩარევა პარტიამ უარყო, დაგმო მთელი ზიანი და შეცდომები, რომლებიც აქედან გამომდინარეობენ, დაიწყო და კვლავაც განაგრძობს მათს გამოსწორებას.

მაგრამ აქ ბევრია სხვა შეცდომაც, რომლებიც მოდის იმ დროიდან, როცა პარტიას ა. ნოვოტნი ხელმძღვანელობდა. ამ შეცდომებმა უძრაობა და კრიზისი გამოიწვიეს ჩვენს საზოგადოებაში, მის სხვადასხვა დარგში. ნოვოტნის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო პრინციპული რეაგირება მოეხდინა იმ ახალ მიმდინარეობაზე, რომელიც 1953-1956 წლებში ძლიერდებოდა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში და აისახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ზოგიერთ დასკვნასა და საინიციატივო წინადადებაში. ნოვოტნის ხელმძღვანელობას არ ეყო გაბედულება აშკარად ეღიარებინა, მარქსისტულად გაეკეთებინა ანალიზი დაგროვილი ნაკლოვანებებისა და შეცდომებისათვის და ენერგიულად დაეძლია ისინი.

ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო პრობლემებისადმი კლასობრივი მიდგომის ჩაკვლა, იდეოლოგიური მუშაობისა და პარტიის ყველა წევრზე და ყველა მშრომელზე აქტიური აღმზრდელობითი ზემოქმედების შესუსტება. შეასუსტეს აღზრდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, არ წყვეტდნენ ჩვენი ხალხებისა და ეროვნულ უმცირესობათა ურთიერთობის მომწიფებულ პრობლემებს.

იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს ნოვოტნის ხელმძღვანელობა ფარავდა პარტიისა და სახელმწიფოსადმი ხელმძღვანელობის ბიუროკრატიული მეთოდებით და ადმინისტრაციული ჩარევით. მეორე მხრივ, ამ ხელმძღვანელობის უპრინციპო ოპორტუნიზმი შესაძლებლობას აძლევდა მემარჯვენე ძალებს, განსაკუთრებით იდეოლოგიურ და კულტურულ უბნებზე, შეენარჩუნებინათ პოზიციები, დარაზმულიყვნენ და ჩამოეყალიბებინათ თავიანთი ოპორტუნისტული და რევიზიონისტული ტენდენციები და მიზნები პარტიაში და პარტიის გარეთ. ნოვოტნისა და მისი წრის სუბიექტივიზმის შედეგად, ერთი მხრივ, არ იჭრებოდა ისეთი მომწიფებული პრობლემები, როგორიც არის, მაგალითად, ეკონომიკის, ეროვნული პოლიტიკის, რეაბილიტაციისა და სხვა საკითხები. მეორე მხრივ ამის შედეგად ხდებოდა განხორციელებული საზოგადოებრივი განვითარების იდეალიზაცია, აყენებდნენ არარეალურ ლოზუნგებს, რომლებიც წინ უსწრებდნენ საზოგადოებრივი განვითარების მთელ ეტაპს. ამასთან ეს ხდებოდა იმ პერიოდში, როცა ბევრი პრობლემა არ იჭრებოდა და სიძნელეები ტვირთად აწვებოდა პარტიის რიგითს წევრებსა და დანარჩენ პატიოსან მოქალაქეებს.

ჩვენი ხალხის უმრავლესობა, თქვა შემდეგ ამხ. გ. ჰუსაკმა, მიესალმა ცვლილებებს, რომლებიც მოხდა 1968 წლის იანვარში. იმ ცვლილებათა აზრი, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაიწყო 1968 წლის იანვარში, იყო განვითარება ყოველივე დადებითისა, რაც მიღწეული იყო წინა წლებში, დაალეგა შეცდომებისა, ნაკლოვანებებისა, დაბრკოლებებისა, რომ სრულად გამოვავლინონა სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების ყველა ობიექტური უპირატესობა ჩვენს ქვეყნაში და გადაგვეჭრა მომწიფებული პრობლემები. ეს ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის დიდი ისტორიული შანსი იყო.

ცენტრალური კომიტეტი 1968 წლის აპრილის პლენუმზე შეეცადა ეს ახალი მიზნები ჩამოეყალიბებინა მოქმედების პროგრამაში, რომელზეც, თუმცა, უკვე დიდი გავლენა მოახდინეს ოპორტუნისტულმა ჯგუფებმა. იანვრის შემდგომი პოლიტიკის ძირითადი აზრი დღესაც ამოსავალი პუნქტია პარტიის პროგრამის ჩამოყალიბებისათვის, თუმცა საჭიროა მისი თეორიული გაღრმავება, შესწორება, კონკრეტიზაცია და თანდათანობით შესრულება.

ჩვენ განუწყვეტლივ ვეკითხებით საკუთარ თავს, თქვა შემდეგ ჰუსაკმა, რატომ გაგუშვით ხელიდან დიდი ისტორიული შანსი, რომელიც 1968 წლის იანვრის შემდეგ გვქონდა, რატომ იყო, რომ იმ პერიოდში ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ სოციალისტური წყობილებისათვის, საფრთხე შეექმნათ მისი საფუძვლებისათვის და განვითარების შედეგად რატომ მოხდა გასული წლის აგვისტოს ამბები. უწინარეს ყოვლისა უნდა ვიცოდეთ, და ჩვენმა ცენტრალურმა კომიტეტმა ეს ჯერ კიდევ მაისში განაცხადა, რომ ანტისოციალისტური ძალები და მემარჯვენე ოპორტუნისტები პარტიაში მხოლოდ 1968 წლის იანვრის შემდეგ როდი გამოჩენილან, რომ ისინი პარტიაში იყვნენ და მეტნაკლებად მოქმედებდნენ 1968 წლის იანვრამდეც, რომ ნოვოტნის ხელმძღვანელობის ოპორტუნისტული პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად აადვილებდა მათს საქმიანობასა და ორგანიზაციას. ამ ძალების ბირთვი შეიქმნა 1968 წლის იანვარამდე, ხოლო იანვრის შემდეგ იგი როგორც პარტიის მეორე ცენტრი ახორციელებდა თავის ზრახვებსა და მიზნებს.

პარტიული ხელმძღვანელობა, რომელიც აირჩია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის იანვრის პლენუმმა და რომლის შემადგენლობა რამდენიმე შეცვალა გასული წლის აპრილის პლენუმმა, პოლიტიკურად ერთგვაროვანი არ ყოფილა, მასში არ იყო ერთიანობა, შეპარული იყვნენ მემარჯვენე ოპორტუნისტული ძალების წარმომადგენლები. მას არ ჰქონია ნათელი კონცეფცია, მტკიცედ არ ეყრდნობოდა მუშათა კლასსა და მარქსისტულ-ლენინურ ანალიზს, არ ჰქონდა მტკიცე და ენერგიული ხელმძღვანელობა. ამიტომ მან წინააღმდეგობა ვერ გაუწია საშიშ, ნაწილობრივ ორგანიზებულ, ნაწილობრივ სტიქიურ საზოგადოებრივ ზეგავლენას, რომელიც აშკარად გამოვლინდა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში 1968 წლის იანვრის შემდეგ და რომელსაც რაც დრო გადიოდა ვეღარ ერეოდა პარტიის მაშინდელი ხელმძღვანელობა.

გასული წლის აპრილში დამტკიცებულ მოქმედების პროგრამაში, პრინციპულ საპროგრამო დებულებებში გაჩნდა ბუნდოვანი კომპრომისული ფორმულირებანი, რომლებიც წარმოადგენენ დათმობას მემარჯვენე ძალების გავლენის წინაშე ეს ემჩნევა, მაგალითად, ახალ ფორმულირებას პარტიის წამყვანი როლის შესახებ. სადირექტივო ინსტრუქციებისა და ძალაუფლების იარაღის წინანდელ ცალმხრივ აბსოლუტიზაციასთან შედარებით, რომლებშიც იანვარამდელი ხელმძღვანელობა ხშირად ეძებდა გამოსავალს თავისი პოლიტიკური უსუსურობიდან და უუნარობიდან, მოქმედების პროგრამა უარყოფდა პოლიტიკური ინსტრუმენტებისა და ზალაუფლების იარაღის ერთიანობას პარტიის ხელმძღვანელი როლის განხორციელებისას.

ეს განსაკუთრებით აშკარად გამოვლინდა ინფორმაციის მასობრივ საშუალებებზე ზემოქმედების საქმეში. პარტიულმა ხელმძღვანელობამ პრაქტიკულად დათმო პოზიციები ამ უბანზე. მან უკან დაიხია ინფორმაციის მასობრივი საშუალებებში მემარჯვენე ძალების წინაშე.

